

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალს**

---

ძვირფასო კოლეგებო,

მეორე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაიწყო 29 იანვარს და დასრულდება 3 თებერვალს. კონფერენცია ეყრდნობა გასული წლის გამოცდილებას. სწორედ ამიტომ კონფერენციის ვებ გვერდის ცნობარში კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით 2012 წლის ფაკულტეტის საჭოს დადგენილებებიც არის განთავსებული.

29–31 იანვარი განკუთვნილია სექციური მოხსენებებისთვის დეპარტამენტების შესაბამისად.

3 თებერვალს განკუთვნილია პლენარული სხდომებისთვის - თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს შემაჯამებელ მოხსენებას, ხოლო პლენარულ სამეცნიერო მოხსენებებს დეპარტამენტებიდან შერჩეული თანამშრომლები წარმოადგენენ.

საფაკულტეტო კონფერენციაზე მოხსენებას გააკეთებს ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი, ვინც კვლევით სამუშაოს ასრულებს. კონფერენციაზე მოხსენებით ასევე წარდგებიან დოქტორანტები, რომელთაც სპეციალური კომისია შეაფასებს.

წლევიანდელი საფაკულტეტო კონფერენცია კიდევ ერთ მნიშვნელოვან დამატებით ფუნქციას შეიძენს. კერძოდ, კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ფაკულტეტის იმ თანამშრომლებს, რომელთაგანაც შეირჩევა კანდიდატი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის №150/01-01 ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.

საფაკულტეტო კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებები შეიძლება საფუძველი გახდეს ახალი გამოცემის - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ბიულეტენის დაარსებისა. ამ საკითხის პირველი განხილვა უკვე მოხდა ფაკულტეტის საბჭოზე.

საფაკულტეტო კონფერენცია საშუალებას გვაძლევს ფართო საზოგადოების წინაშე გამოვიტანოთ მიღებული სამეცნიერო შედეგები და ღირსეულად წარმოვაჩინოთ ფაკულტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის კვლევითი პოტენციალი. გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,

რამაზ ბოჭორიშვილი,

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი